ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დასადგენად საჭირო პროცედურების მწარმოებელ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე იდენტიფიცირების პროცედურის დაწყების საფუძველია უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარი. საიდენტიფიკაციო კითხვარის შევსებისა და წარდგენის უფლება აქვთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დასადგენად საჭირო პროცედურების მწარმოებელ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

პრეტენდენტ ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ სულ მცირე სამწლიანი მუშაობის გამოცდილება ოჯახში ძალადობის თემაზე, ყავდეთ სოციალური მუშაკი, იურისტი და ფსიქოლოგი და შეეძლოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ინფორმაციის წარმოდგენა.

პრეტენდენტმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სამოტივაციო წერილი და ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას მსხვერპლის იდენტიფიცირების დასადგენად საჭირო პროცედურების მწარმოებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ იღებს მოთხოვნილი დოკუმენტების განხილვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, ღია კენჭის ყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით. მოთხოვნილი დოკუმენტების განხილვის ვადაა 5 დღე.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დასადგენად საჭირო პროცედურების მწარმოებელ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა არ წარმოადგენს ანაზღაურებად საქმიანობას.

პრეტენდენტმა ორგანიზაციებმა გთხოვთ, გამოგზავნოთ ზემოთაღნიშნული დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: akhizanishvili@geo.gov.ge (აუცილებელია წერილის გამოგზავნისას მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება).

განაცხადებები მიიღება 2015 წლის 08 თებერვლამდე. მხოლოდ შერჩეული კანდიდატები იქნებიან გასაუბრებაზე დაბარებული.